



საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პრეზიდიუმის ორგანო  
საქართველოს რესპუბლიკის სსრ-ის ორგანო  
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов


# სტუდენტთა ჭანმეტყობისათვის

ამას წინათ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის სამეცნიერო - მეთოდური საბჭოსა და მეთოდური კომისიის პირველმა პლენუმმა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საშინისტროს კოლეგიის წევრი ს. იუდაჩევი. მომხსენებელი შეეხო უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სკოლებში ფიზიკური აღზრდის საკითხებს. უმაღლესი, სპეციალური საშუალო სკოლების მინისტრის მოადგილეები ს. ნიკიშოვი (რსფსრ) და ი. ძიუბკო (უკრაინის სსრ) მოხსენებებით გამოვიდნენ უმაღლეს სასწავ-

ლებში და სპეციალურ საშუალო სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების საკითხებზე. სტუდენტთა სპორტსაზოგადოება „ბურევესტიის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. პარფიონოვმა და „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ხარჩენკომ ილაპარაკეს უმაღლეს სასწავლებლებში და ტექნიკუმებში მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის საკითხებზე. სტუდენტთა შორის ფიზიკური აღზრდის ახალი პროგრამა პლენუმის მონაწილეებს გააცნო საშინისტროს ფიზმომზადების განყოფილების უფროსმა ი. გუქენკომ.

მოიხსნა ორთაბრძოლიდან პასიურობისათვის. ამრიგად, საქართველოს გუნდმა გაიმარჯვა — 16:14. კიდევ უფრო მეტი სიმწვავეთ ხასიათდებოდა ბელორუსისა და რსფსრ-ს გუნდების შეხვედრა, რომელშიც ფიქსირებულ იქნა ანგარიში 16:16. გამარჯვებული უნდა გამოეკონტინებინა იმას, თუ ვინ უფრო ნაკლები დრო მოანდომა ამ ქულების მოპოვებას. როცა ამ ნიშნითაც შეუძლებელი გახდა უპირატესობის დადგენა, მსაჯები „ჩაეშვენენ“ მეტოქე გუნდების მიერ ჩატარებული ილეთების „ასტრონომიულ ანგარიშში“. ამის მიხედვით გამარჯვება მიეკუთვნა ბელორუსისა.

სხვა შეხვედრებში სოციალური მხითმა დაამარცხა ლიტვა, ლატვიამ — ტაჯიკეთი, მოლდავეთმა — ყირგიზეთი, უკრაინამ — უზბეკეთი, ესტონეთმა — აზერბაიჯანი, მოსკოვმა — თურქმენეთი. გვიან ღამით დამთავრდა მეორე წრე, რომელშიც საქართველოს გუნდმა მოპოვდა მეორე გამარჯვება მოლდავეთის კოლექტივზე. 3. კახიანიძე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, მ. ჯუღელი



საბავთა კავშირის გუნდში პირველობა კლასიკურ ბილატობაში ვარსკლავი

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა, ჭადრაკის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებდნენ შეჯიბრებას, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა ვინაიჩკა-ბანიაში და დამთავრდა საბჭოთა საჭადრაკო სკოლის დიდი გამარჯვებით.

ამ დღეებში რესპუბლიკის საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს გულთბილი შეხვედრები პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტ ნ. გაფრინდაშვილთან.

საერთაშორისო ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი და მისი მწვრთნელი მ. შიშოვი ამას წინათ მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

ნ. გაფრინდაშვილი და მ. შიშოვი ილაპარაკეს ტურნირის მსვლელობაზე და თავიანთ მომავალ გეგ-

მებზე. გამოთქვენ გულთბილი მადლობა მთავრობისა და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მიმართ იმ მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რომლითაც ხისინ იყვნენ გარემოსილნი. საუბარი შეეხო აგრეთვე საქართველოში ჭადრაკის განვითარების პერსპექტივებს.

გ. დ. ჯავახიშვილი გულთბილად მიულოცა ნ. გაფრინდაშვილს დამსახურებული გამარჯვება. უსურვა მას წარმატება სწავლაში, სპორტსა და მომავალ საპასუხისმგებლო შეხვედრაში მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. ახალგაზრდა მოჭადრაკეა და მის მწვრთნელს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

მიღებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის სპორტკავშირისა და საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლები. (საქდესი).



12  
დეკემბერი  
საშუაბათი,  
1961 წ.  
№ 202 (1888)  
ფასი 3 კაპ.  
გამოცემის მ-18 წელი.

## უძლიერესი გუნდის გამოსაკვლინებლად

გუნდის, თბილისის სპორტის სასახლეში აღმართა კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატის ალაში.

მიმდინარე შეჯიბრება არა მხოლოდ მონაწილეთა ძლიერი შენადგენლობით გამოირჩევა, არამედ, იმიტომ, რომ იგი ტარდება ახალი საერთაშორისო წესების მიხედვით: ორთაბრძოლა გრძელდება 10 წუთს, პირველი ხუთა წუთის შემდეგ 30-წამიანი შესვენებით; აღარ მოქმედებს პირველი 6 წუთის შემდეგ ჩოქბურების ურთიერთშენაცვლების წესი. შეჯიბრების დებულებას მიხედვით, გუნდი, რომელიც დამარცხდება ორჯერ, სტოვეს შეჯიბრებას.

გუნდის ჩატარდა ორი წრე. დიდი ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა შეხვედრენ ლენინგრადის ძლიერ გუნდს. ეს შეხვედრა, ისევე, როგორც გასული წლის ჩემპიონის ბელორუსისა და რსფსრ-ს გუნდების შეჯიბრება, წარმოადგენდა პირველი წრის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩს. და უნდა ითქვას, რომ მან მთლიანად გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. საქმისათვის ითქვას, რომ უკანასკნელი წყვილის ჭიდაობის დამთავრებამდე შეუძლებელი იყო იმის თქმა, თუ რომელი გუნდის მხარეზე გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი, ხოლო მანამდე, ორთაბრძოლებს მსვლელობაში, სამჯერ იქნა ფიქსირე-

ბული საყაიმო ანგარიში. სიტყვამ მოიტანა და აქვე აღნიშნავთ: ყოველი მონაწილის გამარჯვებისათვის გუნდს ეწერება 3 ქულა, ორთაბრძოლის ფრედ დამთავრების შემთხვევაში — 2 ქულა, დამარცხებისათვის — ერთი ქულა, ხოლო მონაწილის წარმოუდგენლობისათვის — 0.


უმმატეს წონაში ლენინგრადელმა ზაკოვიჩკინმა პირველი სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს. არ შეიძლება ითქვას, რომ მისი მეტოქე — ზ. მირიანაშვილი მას რაზეთი უთმობდა ძალასა თუ ტექნიკის მიხედვით, მაგრამ მან აშკარად წააგო ბრძოლა ტაქტიკურ წარბეზებით.

ბრწყინვალე რევანში აიღო ზ. უგრეხელიძემ XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან ნ. სოლოვიოვთან შეხვედრაში, რომელიც თავიდან ფრთხილი დაზვერვით დაწყდა; იმდენად ფრთხილი, რომ 2 წუთის შემდეგ ორივე სპორტსმენს მიეცა გაფრთხილება პასიურობისათვის. შემდეგ გავიდა კიდევ ერთი წუთი, ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მოუპოვებია რაიმე ქულა. მეორე გაფრთხილების შემთხვევაში კი, რომელიც სულ მალე იყო მოსალოდნელი, ახლდებრი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მსაჯობის მიხედვით, ორივე მოჭიდავეს მიეკუთვნებოდა დამარცხება. და სწორედ ამ დროს ზ. უგრეხელიძემ ჩატარა

შესანიშნავი მოგვერდი, რომელმაც მას წმინდა გამარჯვება მოუტანა 3 წუთსა და 11 წამში.

მაყურებელთა მოლოდინი გააწვრილა რ. რურუამ, რომელმაც ელიტოვისკისთან შეხვედრა რაღაც მსოფლიო უჩვეულო სტილში ჩატარა. ამის მიუხედავად, მას მაინც თავის სასარგებლოდ მიჰყავდა ორთაბრძოლა უკანასკნელ წუთებამდე. ჯერ იყო და მე-2 წუთზევე მან ჩოქბურში გადაიყვანა მოწინააღმდეგე, ხოლო მე-7 წუთზე კვლავ „წაართვა“ მას ორი ქულა. დარჩენილი იყო სამი წუთი და ამ ხნას განმარტობაში ქართველმა სპორტსმენმა გააქარწყლა ის, რის მოპოვებასაც ორჯერ მეტი დრო ენდობოდა. ელიტოვისკიმ ჯერ ჩოქბურში ჩააყენა იგი, ხოლო შემდეგ გაუქვია ტრაილი და მოიგო კიდევ შეხვედრა. სამწუხარო დამარცხება, მაგრამ იმედი, რომ ახალგაზრდა მოჭიდავე სათანადო დასვენებას გამოიტანს მისგან.

მსუბუქ წონაში ა. ქორიძემ ისე მოპოვდა გამარჯვება არონოვზე, რომ არ ჩაუტარებია არც ერთი ფანდი. მაგრამ ეს ოდნავადაც არ იყო მისი ბრალი. ლენინგრადელი მოჭიდავე ბრძოლის ნაკვალავს „ყრუ“ დაცვაზე უფრო ფიქრობდა და



სპორტის

# ეროვნული საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

## 1961-1964 წლებისათვის

### სათხილამურო სპორტის მრავალხრიანი გიგანტი

(სამთო სახეობები—სლალომი, გიგანტი სლალომი, სწრაფდაშვება, სამთო ორბილი და სამვილი)

**სათანადო მოთხოვნები ვაჭები და ქალები**  
**სპორტის ოსტატი** — დაიკავოს II-V ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე.  
**აწ**  
 დაიკავოს I-III ადგილი საბჭოთა

კავშირის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრებაზე,  
**აწ**  
 დაიკავოს I ადგილი საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებაზე, რომელშიც მონაწილეობს არანაკლებ სპორტის ხუთი მოქმედი ოსტატისა.

**შენიშვნა:** თუ აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობს სპორტის 10 ან 15 მოქმედი ოსტატი, მაშინ ოსტატის ნორმის შესრულება შეიძლება შესაბამისად ჩაეთვალოს მეორე და შესაბამისად ადგილებზე გამოსულ სპორტსმენებსაც.

ბაზე თუ შთავარი მსაჯი და ტრასის უფროსი არიან არანაკლებ პირველი კატეგორიის მსაჯები. ამასთან შედგენილი უნდა იყოს აქტი ტრასის აღწერით, სქემითა და გამოთვლებით.  
 3, II, III და მოზარდთა თანრიგებისა და მოთხოვნების შესრულება ჩაითვლება ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე თუ შთავარი მსაჯი და ტრასის უფროსი არიან არანაკლებ მეორე კატეგორიის მსა-

ჯები. ამასთან შედგენილი უნდა იყოს ტრასის აღწერაც.  
 4. სათანადო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება ჩაითვლება იმ პირობით თუ სპორტსმენი მოცემულ სეზონში მონაწილეობდა შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში ცალკეულ სახეობათა მიხედვით: სპორტის ოსტატი — 8-ჯერ, I თანრიგი — 6-ჯერ, II — 5-ჯერ, III — 5-ჯერ, მოზარდთა I — 4-ჯერ, მოზარდთა II — 3-ჯერ.

#### მოთხოვნები I, II, III და მოზარდთა თანრიგის მქონე სპორტსმენებისათვის

| თანრიგი, რომელიც შეიძლება მიენიჭოს | სლალომი, გიგანტი სლალომი, სწრაფდაშვება, მონაწილეთა რაოდენობა, რომელშიც უნდა დაამთავრო შეჯიბრება |           |            |             |                  | შედეგი გამარჯვებული მსაჯის მიხედვით (წ/წ-ში) | დაიკავოს I ადგილი მრავალხრიან შეჯიბრებაში | სამთო საშუალო | სამთო ორბილი |
|------------------------------------|---|-----------|------------|-------------|------------------|--|---|---------------|--------------|
|                                    | სპორტის ოსტატი  | I თანრიგი | II თანრიგი | III თანრიგი | მოზარდთა თანრიგი |  |   |               |              |
| I                                  | 3   | —         | —          | —           | —                | 110  | —   | 25            | 16           |
|                                    | —   | 5         | —          | —           | —                | 105  | —   | 12,5          | 9            |
|                                    | —   | —         | 10         | —           | —                | —  | 5%-ით                                     | 8             | 5            |
| II                                 | 3   | —         | —          | —           | —                | 120  | —   | 48            | 32           |
|                                    | —   | 3         | —          | —           | —                | 115  | —   | 36            | 24           |
|                                    | —   | —         | 5          | —           | —                | 119  | —   | 24            | 16           |
| III                                | 3   | —         | —          | 10          | —                | —  | 3%-ით                                     | 8             | 3            |
|                                    | —   | 3         | —          | —           | —                | 135  | —   | არ ენიჭება    | —            |
|                                    | —   | —         | 3          | —           | —                | 150  | —   | —             | —            |
| მოზარდთა II                        | —   | —         | 3          | —           | —                | 110  | —   | —             | —            |
|                                    | —   | —         | —          | 5           | —                | 120  | —   | —             | —            |
|                                    | —   | —         | —          | —           | 5                | 10   | 8%-ით                                     | იგივე         | —            |
| მოზარდთა I                         | —   | —         | 3          | 5           | 10               | 120  | დაიკავოს I-II ადგ.                        | 26            | 24           |

თანრიგი ენიჭება თუ ტრასა აკმაყოფილებს № 1 ცხრილში მოცემულ მოთხოვნებს. სწრაფდაშვებაში თანრიგი არ ენიჭებათ.

სამთო საშუალო (მეტრებში)

| თანრიგი      | სლალომი                  |                             |                 | გიგანტი სლალომი (მეტრებში) |                  | სწრაფდაშვება (მეტრებში) |                  |
|--------------|--------------------------|-----------------------------|-----------------|----------------------------|------------------|-------------------------|------------------|
|              | ტრასის სიგრძე (მეტრებში) | სიმაღლე ვარდნილი (მეტრებში) | კართა რაოდენობა | ტრასის სიგრძე              | სიმაღლე ვარდნილი | ტრასის სიგრძე           | სიმაღლე ვარდნილი |
| I            | 500                      | 150                         | 50              | 1.500                      | 300              | 2.000                   | 600              |
| II           | 400                      | 130                         | 45              | 1.300                      | 270              | 2.000                   | 600              |
| III          | 150                      | 60                          | 15              | 1.000                      | 250              | 1.500                   | 400              |
| მოზარდთა I   | 120                      | 50                          | 12              | 1.000                      | 250              | —                       | —                |
| მოზარდთა II  | 150                      | 60                          | 15              | 1.000                      | 250              | 1.500                   | 400              |
| მოზარდთა III | 120                      | 50                          | 12              | 1.000                      | 250              | —                       | —                |

ვაჭები

| სპორტის ოსტატი | I   | II | III   | მოზარდთა I | მოზარდთა II |     |
|----------------|-----|----|-------|------------|-------------|-----|
| 500            | 150 | 50 | 1.500 | 300        | 2.000       | 600 |
| 400            | 130 | 45 | 1.300 | 270        | 2.000       | 600 |
| 150            | 60  | 15 | 1.000 | 250        | 1.500       | 400 |
| 120            | 50  | 12 | 1.000 | 250        | —           | —   |
| 150            | 60  | 15 | 1.000 | 250        | 1.500       | 400 |
| 120            | 50  | 12 | 1.000 | 250        | —           | —   |

ქალები

| სპორტის ოსტატი | I   | II | III   | მოზარდთა I | მოზარდთა II |     |
|----------------|-----|----|-------|------------|-------------|-----|
| 500            | 150 | 35 | 1.300 | 270        | 1.500       | 400 |
| 400            | 130 | 35 | 1.200 | 250        | 1.400       | 350 |
| 150            | 60  | 15 | 1.000 | 200        | 1.200       | 300 |
| 120            | 50  | 12 | 800   | 150        | —           | —   |
| 150            | 60  | 15 | 1.000 | 200        | 1.200       | 300 |
| 120            | 50  | 12 | 800   | 150        | —           | —   |

სწრაფდაშვებასა და გიგანტი სლალომში კართა რაოდენობა შეიძლება იყოს ნებისმიერი.

**სათანადო მოთხოვნათა შესრულების პირობები**  
 1. სპორტის ოსტატის სათანადო მოთხოვნები შესრულებულად ჩაითვლება იმ პირობით თუ შეჯიბრებაში მთავარი მსაჯი და ტრასის უფროსი არიან არანაკლებ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები. ამასთან შედგენილი უნდა იყოს აქტი ტრასის სქემის, პროფილის ან აღწერის, გამოთვლებისა და სიმაღლეთა ვარდნილების ჩვენებით (სლალომში, გიგანტი სლალომში და სწრაფდაშვებაში).  
 2. I სპორტული თანრიგის ნორმისა და მოთხოვნების შესრულება ჩაითვლება არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებაში.

#### თხილამურებით სტომა და ორბილი

**სათანადო მოთხოვნები**  
**სპორტის ოსტატი** — დაიკავოს I-V ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე, უძლიერეს მოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრებაზე, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე.  
**აწ**  
 დაიკავოს I-III ადგილი საკავშირო ან რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებაზე სპორტის ორ მოქმედ ოსტატზე გამარჯვებით,  
**აწ**  
 დაიკავოს I-III ადგილი საქალაქო

თანრიგის შეჯიბრებებზე სულ ცოტა 50 მ საპროექტო სიმძლავრის მქონე არანაკლებ სამი ტრამპლინის შედეგების ჯამის მიხედვით; დააგროვოს 620 ქულა.  
**აწ**  
 არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში სეზონის განმავლობაში ორჯერ შეასრულოს ქვემოთმოყვანილი სათანადო ნორმები.

#### სათანადო ნორმები თხილამურებით სტომაში (ქულაში)

| თანრიგი        | ტრამპლინის სიმაღლე (მეტრებში) |       |       |       |            |
|----------------|-------------------------------|-------|-------|-------|------------|
|                | 20-29                         | 30-39 | 40-49 | 50-59 | 60 და მეტი |
| სპორტის ოსტატი | —                             | —     | —     | 217   | 217        |
| I              | —                             | 215   | 215   | 210   | 210        |
| II             | —                             | 205   | 200   | 200   | 200        |
| III            | 175                           | 170   | 170   | 170   | —          |
| მოზარდთა I     | 175                           | 170   | 165   | —     | —          |
| მოზარდთა II    | 170                           | 165   | —     | —     | —          |

#### სათანადო ნორმები ორბილში (ქულაში) სტომაში და სათხილამურო რბენებში

| თანრიგი        | ტრამპლინის რბენები (მეტრ-ში) |       |       |       |            | შედეგი რბენებში |
|----------------|------------------------------|-------|-------|-------|------------|-----------------|
|                | 20-29                        | 30-39 | 40-49 | 50-59 | 60 და მეტი |                 |
| სპორტის ოსტატი | —                            | —     | —     | 435   | 435        | I თანრიგი       |
| I              | —                            | 430   | 425   | 420   | 415        | II თანრიგი      |
| II             | —                            | 400   | 395   | 390   | 385        | III თანრიგი     |
| III            | 390                          | 385   | 380   | 375   | —          | —               |
| მოზარდთა I     | 400                          | 390   | 385   | 380   | —          | —               |
| მოზარდთა II    | 400                          | 390   | —     | —     | —          | —               |

#### სათანადო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულების პირობები

1. სპორტის ოსტატის სათანადო მოთხოვნების შესრულება ოფიციალურ შეჯიბრებებში ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მთავარი მსაჯი და სტომის ტექნიკის შემფასებელი ორ მსაჯს აქვთ არანაკლებ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება. ამასთან შედგენილი უნდა იყოს დისტანციის პროფილისა და გამოთვლების აქტი სიმაღლეთა ვარდნილების ჩვენებით.  
 2. I თანრიგის ნორმისა და მოთხოვნების შესრულება ოფიციალურ შეჯიბრებებში ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მთავარი მსაჯი, დისტანციის უფროსი და სტომის ტექნიკის შემფასებელი ორი მსაჯი არიან არანაკლებ I კატეგორიის მსაჯები. ამასთან შედგენილი უნდა იყოს დისტანციის პროფილისა და გამოთვლების აქტი სიმაღლეთა ვარდნილების ჩვენებით.  
 3. დანარჩენი თანრიგების ნორმა შესრულება ჩაითვლება, თუ შეჯიბრებას მსაჯობს II კატეგორიის არანაკლებ ორი მსაჯისა.  
 4. თანრიგის დასამტკიცებლად საჭიროა იმავე ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება.  
 5. სათანადო ნორმების მოთხოვნების შესრულება ჩაითვლება იმ პირობით, თუ სპორტსმენმა მოცემულ სეზონში მონაწილეობა მიიღო შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში:

სახეობა

| სპორტის ოსტატი                                       | თანრიგი |    |     |            |             |   |
|--|---------|----|-----|------------|-------------|---|
|  | I       | II | III | მოზარდთა I | მოზარდთა II |   |
| 1. თხილამურებით სტომა                                | 8       | 6  | 6   | 5          | 4           | 3 |
| 2. ორბილი, მათ შორის სტომაში და სათხილამურო რბენებში | 8       | 6  | 5   | 4          | 4           | 3 |

საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის სტუდენტები ქ. მახარობლიძე, ი. ქარჩავა, გ. ოდიშარია, ა. ცვიფურიშვილი, შ. ქუჩრადი, ტ. ინგოროსია, ს. კორძია და გ. კვლევჩიანი (ზესტაფონი) გვთხოვენ გავაცნოთ ასუქრიანი შაშის დაფის აღნუსხვა და თამაშის წესები.

ასუქრიანი ანუ საერთაშორისო შაშის და 64-უქრიანი (რუსული) შაშის შორის ზევრია საერთო. თითქმის იგივეა თამაშის წესები, ზოგიერთის გამოკლებით.

ჯერ შევეცხოთ ასუქრიანი შაშის დაფას.

|    |    |    |    |    |
|----|----|----|----|----|
| 1  | 2  | 3  | 4  | 5  |
| 6  | 7  | 8  | 9  | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | 32 | 33 | 34 | 35 |
| 36 | 37 | 38 | 39 | 40 |
| 41 | 42 | 43 | 44 | 45 |
| 46 | 47 | 48 | 49 | 50 |

როგორც ხედავთ, აქ შემოღებულია ციფრობრივი აღნუსხვა. ციფრებით აღნუსხულია მხოლოდ ის უქრები, რომლებზეც შაშები დგანან. პარტის ჩაწერა ხდება ასე: ჯერ აღინიშნება უქრა, რომელზეც იდება შაში, შემდეგ ტირე და უქრა, რომელზეც იგი გადაიდგმება. შაშის აღების შემთხვევაში ტირეს მაგიერ იწერება ორი წერტილი. რუსულ შაშთან განსხვავებით თეთრ შაშზე უქრები 31-50 უქრები, ხოლო შაშებს — 1-დან 20-მდე.


ახლა იმ განსხვავებების შესახებ, რომელიც არსებობს ასუქრიანი და 64-უქრიანი შაშებს შორის.

რუსულ შაშში ყოველ მეტოქეს 12 შაში აქვს; საერთაშორისოში — 20 შაში.

თამაშის წესებში შემდეგი განსხვავებები:

1. თუ არის აყვანის ორი შესაძლებლობა, საჭიროა შაშების აყვანა იმ მიმართულებით, საითაც მეტია ასაყვანი.

2. როცა შაში მიაღწევს ბოლო პირიზონტალს (თეთრი 1-5, შავი 46-50) იგი დამკა ხდება, მაგრამ საერთაშორისო შაშში ყოველთვის ასე არაა. თუ შაშმა ბოლო



პირიზონტალს მიაღწია რამდენიმე შაშის აყვანით და მას შესაძლებლობა გააჩნია განაგრძოს აყვანა, მაშინ ვალდებულია იყვანოს ეს შაშები და უბრალო შაშად დარჩეს.

3. თუ შაში გახდა დამკა ისე, რომ აყვანა მოწინააღმდეგის რამდენიმე შაში და შეუძლია, როგორც დამკამ, განაგრძოს აყვანა, მაშინ იგი ამ უფლებას გამოიყენებს მხოლოდ მორიგი სვლის შემთხვევაში, თუ, რასაკვირველია, დარჩა ეს შესაძლებლობა.

4. ყოველ ჩათვლება პარტია თუ დაფზე დარჩა 4 დამკა ერთის წინააღმდეგ და 18 სვლის მანძილზე (ასეთი პოზიციის შექმნის შემდეგ) არ იქნება აყვანილი ერთ-ერთი დამკა.

რაც შეეხება სვლების მოფერებაზე დროის კონტროლს, დაწესებულია 2 საათი თეთრული პარტ-

ნორას 50 სვლაზე. ხოლო შემდეგ 25 სვლაზე — თითო საათი თეთრული.

მოგვყავს ერთ-ერთი პარტია იქამდე მიმდინარე მსოფლიო პრელომბაზე მ შეგულევი კუმურმანის მატჩიდან.

### ი. კუპარინი. ვ. ზეპოლუვი III პარტია

- 1. 32-28, 17-21, 2. 31-26, 12-17, 3. 37-32, 7-12, 4. 41-37, 18-22. 5. 34-29, 19-24, 6. 40-34, 14-19. 7. 37-31, 21-27. 8. 32-21, 16-27, 9. 46-41, 1-7. 10. 42-37, 11-16, 11. 48-42, 7-11. 12. 45-40, 20-25. 13. 29-20, 25-14. 14. 34-29, 19-24, 15. 29-20, 15-24, 16. 40-34, 14-19, 17. 37-32, 16-21, 18. 41-37, 13-18. 19. 50-45, 10-15. 20. 44-40, 9-13.

როული მდგომარეობაა. შაშების

უმრავლესობა მიჯაჭვულია თავის ადგილზე.

- 21. 34-29, 3-9, 22. 29-20, 15-24, 23. 39-34, 5-10. 24. 49-44, 10-15, 25. 43-39, 9-14. 26. 34-29, 4-9.

იერიშის დასაწყისი, თეთრების მხრიდან კარგი დაცვა არ ჩანს.

- 27. 29-20, 15-24. 28. 39-34, 2-7, 29. 34-29, 18-23. 30. 29-20, 14-25, 31. 40-34, 12-18. 32. 44-40, 8-12, 33. 47-14, 25-30. 34. 35-24, 19-39, 35. 28-8, 12-3. 36. 33-44, 18-23. 37. 40-34, 7-12. 38. 45-40, 9-14. 39. 40-35, 14-19. 40. 34-29, 23-34. 41. 32-28, 22-33. 42. 38-40, 3-8. 43. 31-22, 17-28. 44. 26-17, 12-21. 45. 35-30, 11-17. 46. 40-34, 8-13. 47. 44-39, 13-18. 48. 30-24, 19-30, 49. 34-25, 18-22, 50. 42-38, 21-27. 51. 37-31, 6-11. 52. 31-26, 11-16, 53. 38-33, 27-32. 54. 41-37, 32-41. 55. 36-47, 28-32. 56. 25-20, 22-27, 57. 20-14 — შაშები დაწებდნენ.

რც ოქროს რქაზე გაქიმილ ათა-თურქის ხილს, არც მეჩეთა კომპლექსში მოქცეულ აია ხოფიას ტაძარსა და არც მსოფლიოში განთქმულ სტამბოლის ბაზარს არ დასტრიალებდა ჩვენი ფიქრები ისე ძლიერად, როგორც ზღვის პირას გაშენებულ „მეტაღ ფაშას“ სტადიონს, რომელიც ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვების შემთხვევაში ტრამპლინად უნდა გადაქცეულიყო უიულ რიმეს თანხისთვის ფინალურ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

...საბჭოთა კავშირის, შემდეგ თურქეთის ჰიმნი და... ფეხზე ამდგარი 45 ათასი მაყურებლის სიმღერა ახლომახლო გორაკებზე და ხახლის სახურავზე წამომატებელი იმდენივე მაყურებლის აკომპანიშენით. სტამბოლის მკვიდრნი ყოველნაირად ცდილობდნენ თანამემამულეებში გამარჯვების რწმენის ჩასახვას. ამჟამად, ძალა აღმართსა ხნავდა: ვერც გულშემატკვარებმა და ვერც „სოფლის“ ალაპამა ვერ იხსნა მასპინძლები დამარცხებისაგან. ნეჭმიმორჯერ გამოატანა კარიდან გუსაროვისა და მამიკინის მიერ დარტყმული ბურთები, ჩვენს კარში გატანილი ერთი ბურთის საწინააღმდეგოდ.

განვლილ ეტაპზე ბევრს არ ლაპარაკობენ ხოლმე. მით უმეტეს, როცა წინაა 40-სთიანი მარშრუტი პაერში: ვენა-ციურიხი-ლინსაი-მონროვი-როი-დე-ჟანერიო-სან-ბაულუ-ბუენოს-აირესი.

...არგენტინის გამარჯვების რწმენით მოსული ბევრი ევროპული გუნდი უნდახვს, მაგრამ მისი დაუშვარცხებლად წახვლა კი—არასოდეს.

### განთიადღა სპინარი

სპორტსაზოგადოება „განთიადღის“ ცენტრალური საბჭოს სისტემატურად აწყობს საზოგადოებრივი კადრების მოსამზადებელ და გადასამზადებელ სემინარებს სპორტის მთელ რიგ სახეობებში. 10 დეკემბერს დაიწყება სემინარი ფეხბურთის ინსტრუქტორთა და მსაჯთა მოსამზადებლად.

შედიდნება იწარმოებს „განთიადღის“ სპორტულ ზაზაზე თბილისში, პლენარის პრესპექტი № 95.

გ. ჩხიკვაძე

რას გვიზადებს ჩვენ იგი? აქ ხომ ყველაფერი თავისებური და უჩვეულოა. ჩვენთან ზამთარი კარგაა მომდგარი, აქ კი მხოლოდ ახლა იწყება გაზაფხული. ჩვენთან დილაა, აქ კი — საღამოს ბინდი.

ფიქრებს ფეხბურთის მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი და რემორტიკოვი გვაწყვეტინებდა. მათი შეკითხვებიდან ერთი ახრი გამოგვაქვს: უკვირთ „რა სასწაულით არ დამარცხდით ჩვენთან მოსკოვში, როცა თამაში და შეტევა მთლიანად არგენტინელების იყო?“. ამ ამბავმა გავაოცა, მაგრამ შემდეგში ამოცანა უბრალოდ ამოგხსენით: ფეხბურთის მატჩის გადაცემის დროს თუ ბურთი მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეს ჩაუვარდება, სპორტული კომენტატორის ლაპარაკს სავაჭრო ფრმების რეკლამები ცვლის, რაც გრძელდება მანამ, სანამ ბურთს კვლავ არგენტინელები დაეუფლებ-



# ლ ა თ ი ნ უ რ ა მ ე რ ი კ ა შ ი

ბანა. ამ მიზეზით რადიომიმდებთან მიმდგარი „ინჩაი“ (გულშემატკივარი) საყვარელი გუნდის დამარცხებას მხოლოდ ბრმა შემთხვევას მიაწერს ხოლმე.

როგორც წესი, მატჩის დროს ტელეგადაცემა არ მიმდინარეობს — სტადიონმა არ უნდა დაკარგოს არც ერთი შეძლებული მაყურებელი, თამაშის შემდეგ კი შეიძლება კინორეპორტაჟით დააკმაყოფილო უფრო თხელკიბიანი გულშემატკივარი.

სხვათაშორის, ჩვენს ჩახვლამდე ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა ცნობილი არგენტინელი ფორვარდის სანფილიპოს საუბარი კორესპონდენტთან. ფეხბურთის ამ „ვარსკვლავის“ პროგნოზით თამაშს მოიგებდნენ არგენტინელები სამი ბურთის სხვაობით — 3:1. ეროვნული ნაკრების მცველის სიმეონეს კორექტივი შეუტანია — ნუთუ ჩვენს დაცვას აღარ აფასებთ, მატჩი „მშრალი“ ანგარიშით დამთავრდება.

18 ნოემბერს „რივერ პლეიტის“ სტადიონზე შევრებილ მაყურებლებს თამაშს-ს დასაწყისი პროგნოზის გამართლების სრულ იმედს

აძლევა. სანფილიპომ პირველ წუთებშივე გაგზავნა ბურთი ჩვენი კარის ზედა კუთხეში და საქმეს მხოლოდ იაშინის აკრობატულმა ნახტომმა უშველა. 15 წუთის განმავლობაში ჩვენი დაცვა მაქსიმალურად დატვირთული იყო მოწინააღმდეგის უაღრესად ტექნიკურ თავდასხმებითა იერიშებით. ამასობაში ჩვენს გუნდშიც მოწესრიგდა ურთიერთშოქმედება და გარემარბების — მისიელ მესხისა და სლავა მეტრეველის დაქერა გადაუტრეულ ამოცანად იქცა არგენტინელთა მცველებისათვის, რომლებიც თავიანთ ფორვარდებთან შედარებით გაცილებით ნაკლები სისწრაფისა არიან.

ამ „ორუცხოზიანი განტოლების“ ამოსხნა მ გოლის ფასად დაუქდათ არგენტინელებს. პირველი ბურთი მარცხენა ფრთიდან იქნა გატანილი. საჭარბო მოედნის სიახლოვით მესხთან უხეში თამაშისათვის მასპინძლები დაჯარიმდნენ, მიშამ ბურთი გასწორა მიწაზე და დადებისთანავე გაუჭრა კართან გასულ პონედელნიკს. ცენტრალურმა თავდასხმებელმა ზუსტად გამოზომა მანძილი და ბურთი მოწინააღმდეგის კარში აღმოჩნდა — 1:0. პონედელ-

ნიკის მიერ გატანილი მომდევნო ბურთის თანავტორი იყო მეორე გარემარბი — ს. მეტრე-

ველი. მაყურებლებმა ობიექტურად შეაფასეს ჩვენი ფეხბურთელების თამაში და თურქებისაგან განსხვავებით მქუხარე ტაშით აღნიშნეს მათთვის ეს არასასიამოვნო ფაქტი.

არგენტინელმა ფეხბურთელებმა ბურთის მოკლე გადაცემებით შორი დარტყმებით შეცვალეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ჩვენს კართან. ლ. იაშინის მიერ ტრავმის მდებამ მოწინააღმდეგე უფრო გააქტიურა და თამაშის დამთავრებამდე ბელენმა თავური დარტყმით შეამცირა ანგარიში სხვაობა. ეს ყო და ეს, მეტის გაკეთება მასპინძლებმა ვერ შეძლეს. საბჭოთა ფეხბურთელებმა ევროპელთაგან პირველებმა მოიპოვეს გამარჯვება არგენტინაში.

გათავდა თუ არა თამაში, მაყურებლებმა ახუფლეს მინდორზე და ხელთ სლავა მეტრეველი ჩაიგდეს, ვიღაც იღბლიანმა გულშემატკივარმა თავის საშინაო საფეხბურთო მუზეუმს ჰვირფხის ექსპონატი შესძინა — საბჭოთა ფეხბურთელის მაისური.

ბურთელების პატივსაცემად, გაიმართა მეგობრული ვაშაში, სადაც ჩვენდა გასაოცრად ვერც ერთი მოწინააღმდეგე ფეხბურთელი ვერ აღმოვაჩინეთ.

— ახლა მაგათ გლოვა აქვთ და „ნანაშვილის“ დროს პურის ჭამა მიღებული არ არისო. — გაგვიმართა ვიღაცამ.

სპორტულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს ფეხბურთელებს. ერთმა რემორტიკორმა ჩვენი მიშა მესხი „ქართველ გარინად“ მოანათლა.

მეორე დღე ბუენოს-აირესის ლირსუნსანოშვიც ადგილების დათვლიერებას მოვანდომეთ. მაგრამ არგენტინის დედაქალაქს განა ეყოფა ერთი დღე?

გ. ჩოხელი, სპორტის ოსტატი. (გაგრძელება იქნება)

სურათმა: მ. მესხმა არგენტინელებთან მაქსიმალური დატვირთვით თამაში. პონედელნიკმა სათანადოდ შეაფასა ამხანაგს ლეწული და მასაქს საკუთარი ხელით უქეთებს. შუაში გ. ჩოხელია.

